



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZESTAFONI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ22. 222306911

თარიღი:10/03/2023

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე, 54-ე მუხლებისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსისი ვიტალი ჩინჩლაძის 2023 წლის 10 მარტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ 1.

დამტკიცდეს:

ა) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი N1 - ის შესაბამისად;

ბ) 2023 - 2024 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმაბი 3-6 - ე დანართების შესაბამისად.

დ) დაევალოს კომიას შეადგინოს კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);

ე) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

ვ) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

დაევალოს საფინანსო სამსახურის უფროსს (ბატონ ვიტალი ჩინჩლაძეს) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ზ.ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ზ.ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

ზ.გ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები 7- 8 დანართის შესაბამისად.

2. სამუშაო ჯგუფმა, სამსახურებმა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა (შპს, ააიპ) ქალაქ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, იხელმძღვანელონ: საქართველოს კანონი - საბიუჯეტო კოდექსის, „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ 2011 წლის 08 ივლისის N385 ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 თებერვლის N90 დადგენილებით;

3. საფინანსო სამსახურმა, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023- 2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 03 მარტის Nბ22.22220625 ბრძანება ;

5.ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

6.აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7);

ვასილ გველესიანი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

